მწვანე ალტერნატივა

მისამართი: თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. №27/29, II სართ.
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04 / 02 – 153
"20" აგვისტო, 2013

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის 2013 წლის 11 თებერვლის #31 ოქმისა და სხდომაზე განხილული დოკუმენტების ასლების მოწოდების თაობაზე (თქვენი 2013 წ. 14 აგვისტოს #1505 წერილის პასუხად)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტროს
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ინგა ნიკაგოსიანს

მადლობას გიხდით თქვენი ა.წ. 14 აგვისტოს #1505 წერილისთვის, რომელიც ეხებოდა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის 2013 წლის 11 თებერვლის #31 სხდომის ოქმისა და სხდომაზე განხილული დოკუმენტების ასლების მოწოდების საკითხს. ამასთან:

1. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს წერილში ნახსენები, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, „ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის" მისაღებად, სამინისტროს მიერ გაგზავნილი წერილების ასლები;
2. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა კატეგორიის ინფორმაციას (სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ თუ პირად საიდუმლო ინფორმაციას) მიეკუთვნება ჩვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები, რომლის გადმოცემაზეც თქვენი ა.წ. 14 აგვისტოს #1505 წერილით გვეთქვა უარი;
3. გთხოვთ, მოგავაწოდოთ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ზემოაღინიშული ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის შესახებ;

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

www.greenalt.org